GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

03 Temmuz / იკლისი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	1.5%

Sn. David O'Sullivan İle James O'Brien'in Gürcistan Ziyareti

დევიდ ო'სალივანისა და ჯეიმს ო'ბრაიენის ვიზიტი საქართველოში

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Avrupa Birliği'nin yaptırımların uygulanmasından sorumlu özel temsilcisi Sn. David O'Sullivan ile ABD Dışişleri Bakanlığının Yaptırım Koordinatörü, Büyükelçi Sn. James O'Brien ile görüştü.

Görüşme sırasında Başbakan Yardımcısı Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne üye olma konusuna vurgu yaparak Gürcü halkının bu tercihinin hiçbir zaman olmadığı kadar güçlü olduğunu kaydetmişti. Sn. Davitashvili'ye göre, Hükümet bu yolda ilerlemek için gereken reformları uygulamaya hazırdır.

Gürcistan'ın ABD, AB ve İngiltere'ye uygulamış oldukları yaptırımları uygulanma konusunda nasıl yardım ettiğini heyet ile birlikte ayrıntılı olarak ele alındı.

Başbakan Yardımcısına göre, Hükümet yaptırımlardan kaçınma amaçlı Gürcistan topraklarının ve finansal sisteminin kullanılmasına izin vermez. Sn. Davitashvili'ye göre, ilgili kuruluşlar bu yönde aktif olarak çalışmakta olup her bir gümrük ve mali işlem sıkı bir şekilde kontrol edilmektedir.

Başbakan Yardımcısına göre, Gürcistan yeni yaptırımlarım uygulanması açısından risklerin önlenmesi konusunda ortaklarına yardım etmeye devam edecek ve bu konu ilgili kuruluşlarla ayrıntılı olarak ele alınacaktır.

Görüşmede bölgedeki jeopolitik ortamına değinerek ekonomik eğilimler, zorluklar ve fırsatlar da konu oldu.

Sn. Levan Davitashvili ile düzenlenen görüşmeye Avrupa Birliği'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Pawel Herczynski, ABD'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Kelly Degnan ile İngiltere'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Mark Clayton da katılmışlardır.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელს დევიდ ო'სალივანს და სანქციების საკითხებში აშშ-ის წარმომადგენელს, ელჩ ჯეიმს ო'ბრაიენს შეხვდა.

შეხვედრისას ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის ეს არჩევანი დღეს ისე მტკიცეა, როგორც არასდროს. მისივე განცხადებით, ხელისუფლება მზად არის ამ გზაზე წინსვლისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად.

დელეგაციის წევრებთან დეტალურად იქნა განხილული, თუ როგორ ეხმარება საქართველო აშშ-ს, ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთს მათ მიერ დაწესებული სანქციების შესრულების კუთხით.

ვიცე-პრემიერის თქმით, მთავრობა არ დაუშვებს საქართველოს ტერიტორიითა და ფინანსური სისტემით სარგებლობას სანქციების თავის არიდების მიზნით. მისივე განცხადებით, შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ და მკაცრად კონტროლირდება ყველა საბაჟო თუ ფინანსური ოპერაცია.

ვიცე-პრემიერის განცხადებით, საქართველო კვლავ გააგრძელებს ახალი სანქციების შესრულების კუთხით რისკების პრევენციის მხრივ პარტნიორების დახმარებას და დეტალურად მოხდება ამის განხილვა შესაბამის უწყებებთან.

შეხვედრისას საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებას და აქედან გამომდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე.

ლევან დავითაშვილთან გამართულ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი.

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Avrupa Birliği'nin yaptırımların uygulanmasından sorumlu özel temsilcisi Sn. David O'Sullivan ile yaptırımlar konusunda ABD ve Birleşik Krallık temsilcileri Büyükelçi Sn. James O'brien ile Sn. Kumar Iyer ile görüştü.

Başbakan Avrupa Birliği'nin özel temsilcisinin Gürcistan ziyaretini hoş karşılayıp Brüksel'de düzenlenen toplantılar sırasında Gürcü tarafının özel temsilcisinin makamıyla işbirliği yürütme isteğini birçok kez ifade etmesi ışığında söz konusu ziyaretin önemi üzerinde durdu.

Toplantıda Rusya'ya uygulanan mali yaptırımlarıyla bağlantılı olarak Gürcistan'ın AB ve Uluslararası Toplum ile daimi koordinasyon halinde olduğunu vurgulandı.

Yaptırımlardan kaçınmamak için Gürcistan'ın ilgili kuruluşlarının etkin çalışmalarının altını çizilip bu doğrultuda hem Gürcistan-AB hem ABD-Gürcistan arasındaki başarılı işbirliği belirlenmiş.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI ᲘᲛᲔᲜᲔᲯᲘ İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Ayrıca Gürcistan'ın sarf etmiş olduğu çabayı hem Uluslararası Toplum'un hem ABD'nin Hariciye Vekaleti tarafından olumlu değerlendirildiğini ifade edilmiştir.

Gürcistan'ın Ukrayna'yı siyasi ve beşeri yönden desteklemesi üzerinde duruldu.

Hükümet İdaresinde düzenlenen toplantıya Avrupa Birliği'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Pawel Herczynski, ABD'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Kelly Degnan ile İngiltere'nin Tiflis Büyükelçisi Sn. Mark Clayton katılmışlardır.

Toplantıya Gürcistan tarafından Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili; Dışişleri Bakanı Sn. Ilia Darchiashvili; Mali Bakanı Sn. Lasha Khutsishvili ile Hükümet İdaresi Başkanı Sn. Revaz Javelidze iştirak etmişlerdir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის სანქციების განხორციელების საკითხებში საერთაშორისო სპეციალურ წარმომადგენელს დევიდ ო'სალივანს და სანქციების საკითხებში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებს ელჩ ჯეიმს ო'ბრაიენს და კუმარ იერს შეხვდა.

პრემიერ-მინისტრი მიესალმა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტს საქართველოში და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას იმის ფონზე, რომ ქართულმა მხარემ ბრიუსელში გამართული შეხვედრების დროს არაერთხელ გამოხატა სპეციალური წარმომადგენლის ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ფინანსურ სანქციებთან მიმართებაში საქართველოს მუდმივ კოორდინაციაზე ევროკავშირთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

ხაზი გაესვა სანქციებისთვის თავის არიდების პრევენციის მიზნით საქართველოს შესაბამისი სამსახურების ეფექტურ მუშაობას და ამ მიმართულებით, როგორც საქართველო-ევროკავშირის, ასევე აშშ-საქართველოს წარმატებულ თანამშრომლობას.

ასევე, აღინიშნა, რომ საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა პოზიტიურად ფასდება საერთაშორისო თანამეგობრობის, მათ შორის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს მიერ უკრაინის მტკიცე მხარდაჭერაზე პოლიტიკური და ჰუმანიტარული მიმართულებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარკ კლეიტონი ესწრებოდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

საქართველოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.

Başbakan Garibashvili Avrupa Konseyi Genel Sekreteri İle Bir Araya Geldi

პრემიერ-მინისტრი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Avrupa Konseyi Genel Sekreteri Sn. Marija Pejčinović Burić ile bir araya geldi.
Toplantıda Avrupa Konseyi tarafından Gürcistan'ı desteklenmesinin önemine değinildi.
Hükümet Başkanı Sn. Pejčinović Burić'e Gürcistan'daki demokratik reformları sürecinde Avrupa Konseyi tarafından gösterilmiş olan çaba için teşekkürlerini sundu.
Sn. Garibashvili Gürcistan'a aday statüsü verilmesinin öneminden bahsetmiştir.
Görüşmede Gürcistan'ın Avrupa Komisyonu tarafından belirlenmiş olan 12 maddelik tavsiyelerinin yerine getirilme yönünde sarf etmiş olduğu çabanın altını çizilmiştir.
İşgal altındaki topraklarda mevcut durumundan da bahsedildi.
Gürcü tarafının Avrupa Konseyi'nin çatışmaların barışçıl bir şekilde çözülme ve güven inşası sürecinde

dahiliyeti açısından desteğini takdir ettiği vurgulandı.
Hükümet İdaresi'nde düzenlenen toplantıya Avrupa Konseyi Genel Sekreteri ve Genel Sekreter Yardımcısı'nın Özel Büro Müdürü Sn. Gianluca Esposito, Avrupa Konseyi Siyasi İşler ve Dış İlişkiler Müdürü Sn. Miroslav Papa ile Avrupa Konseyi Genel Sekreteri ve Genel Sekreter Yardımcısı Kıdemli Danışmanı Sn. Irene Kistou-Milonas katılmışlardır. Toplantıya Gürcistan tarafından Dışişleri Bakanı

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Sn. Ilia Darchiashvili, Hükümet İdaresi Başkanı Sn. Revaz Javelidze ile Gürcistan'ın Avrupa Konseyi Daimi Temsilcisi Sn. Tamar Taliashvili iştirak etmişlerdir.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩს შეხვდა.
შეხვედრაზე საუბარი შეეხო ევროპის საბჭოს მიერ საქართველოს მხარდაჭერის მნიშვნელობას.
მთავრობის მეთაურმა მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩს მადლობა გადაუხადა საქართველოში დემოკრატიული რეფორმების პროცესში ევროპის საბჭოს მიერ გაწეული ძალისხმევისთვის.
მთავრობის მეთაურმა ისაუბრა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მნიშვნელობაზე.
ხაზი გაესვა საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით.
საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას.
ხაზი გაესვა, რომ ქართული მხარე აფასებს ევროსაბჭოს მხარდაჭერას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ნდობის აღდგენის პროცესში ჩართულობის მიმართულებით.
მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისა და გენერალური მდივნის მოადგილის კაბინეტის ხელმძღვანელი ჯანლუკა ესპოზიტო, ევროპის საბჭოს პოლიტიკურ საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა დირექტორატის დირექტორი მიროსლავ პაპა და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისა და გენერალური მდივნის მოადგილის უფროსი მრჩეველი ირენ კიტსუ-მილონა ესწრებოდნენ.
საქართველოს მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში თამარ ტალიაშვილი.

1 Temmuz'dan İtibaren Yürürlüğe Giren Değişiklikler

ცვლილებები, რომლებიც 1 ივლისიდან ამოქმედდა

- 1 Temmuz'dan itibaren savunmasız çocuklara hukuki yardım olarak 200 Lari verilecek
- Kakao ve çikolata ürünlerine zaman sırını uygulanacak
- Gürcistan'da mikro bankaların lisanslaması başlıyor
- Ülkede binalarda enerji verimliliği kanunu yürürlüğe girecek
- Sanal varlık hizmet sunucularının kaydolması gerekecek
- Gürcistan'da vernik ve boyalardaki kurşun içeriğinin kontrölüne başlanacak
- Tiflis Belediye'si karaciğer transplantasyonu programını 120 000 GEL ile tamamen finanse edecek

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

- **1-ლი ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 200 ლარი გახდება**
- კაკაოსა და შოკოლადის პროდუქტების შესახებ რეგლამენტი ამოქმედდება
- საქართველოში მიკრობანკების ლიცენზირება იწყება
- ქვეყანაში შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონი შევა ძალაში
- ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერებს რეგისტრაცია მოუწევთ
- საქართველოში ლაქ-საღებავებში ტყვიის შემცველობის კონტროლი დაიწყება
- თბილისის მერია ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამას სრულად, 120 ათასი ლარით დააფინანსებს

Gürcistan Doğrudan Yabancı Yatırımların GSYİH'ya Oranla Dünyada 5. Sırada Yer Alıyor

საქართველო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფარდებით მშპ-სთან მსოფლიოში მე-5 ადგილზეა

Gürcistan doğrudan yabancı yatırımların GSYİH'ya oranla en iyi göstergelerine sahip olan dünyanın 76 ülkesi arasında ilk beşte yerini almaktadır.

İlgili derecelendirmeyi dünyanın en etkili iş medyası holdinglerinden biri olan Financial Times grubun üyesi FDI Intelligence, Greenfield FDI Performance Index'inde yayımlamaktadır.

Bununla birlikte, Gürcistan bu seneki derecelendirmede 20 sıra daha ilerleme göstermiştir.

İndekse göre, 2022'de GSYİH'ya oranla Gürcistan proje sayısında rekor bir artış kaydedip mevcut rakamı dört katına çıkarmış oldu.

2022'de Gürcistan tarafından 2 milyar ABD doları teşkil eden rekor sayıda doğrudan yabancı yatırım çekilmiştir.

მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საუკეთესო მაჩვენებლების მქონე მსოფლიოს 76 ქვეყანას შორის საქართველო ტოპ ხუთეულშია.

შესაბამის რეიტინგს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნესმედია ჰოლდინგის, Financial Times-ის ჯგუფის წევრი FDI Intelligence, Greenfield FDI Performance Index-ში აქვეყნებს. ამასთან, წლევანდელ რეიტინგში საქართველომ პოზიციები 20 ადგილით გაიუმჯობესა.

ინდექსის თანახმად, 2022 წელს მშპ-სთან მიმართებით, საქართველომ პროექტების რაოდენობით რეკორდული ზრდა დაათვიქსირა და არსებული მაჩვენებელი გააოთხმაგა. აღსანიშნავია, რომ საქართველომ 2022 წელს რეკორდულად მაღალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდა, რამაც 2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

Et Ürünleri İşletmelerinin Cirosu ₾395 MLN Teşkil Etmiştir

ხორცპროდუქტების საწარმოთა ბრუნვამ ₾395 მლნ შეადგინა

2022'de Gürcistan'da kayıtlı et ve et ürünleri işletmelerinin cirosu %59'u et, %41'i yumurta satışlarından elde edilen geliri olan 395 milyon GEL'i teşkil etmiştir.

Galt & Taggart tarafından yayımlayan incelemede buna dair bilgileri belirtilmiştir.

Daha somut olarak, geçen sene et satışlarından elde edilen gelir 232 milyon GEL'i teşkil etmişken yumurta satışlarından elde edilen gelir 162 milyon GEL'i teşkil etmiştir. Geçen senelere kıyasla bu miktar önemli ölçüde artmış durumundadır, örneğin 2014'te yumurta satışlarından elde edilen gelir 81 milyon GEL iken, et satışlarından elde edilen gelir 64 milyonu teşkil etmiştir.

Et ve et ürünleri üreten büyük işletmelerinin gelirlerine gelince, toplam gelirlerin %13'ü "Çirina", %8'i "Kumisi", %6'sı "Dila", %6'sı "Noste", "Kvarlis Baga", "Ashendi" ve "Savaneti" her üç firma %4 paya sahiptir, geri kalan %48'i ise küçük işletmeler oluşturuyor.

Gürcistan'da kayıtlı 250 aktif işletme bulunmaktadır, bunların sadece 20'si, çoğu kümes hayvanı eti ve yumurta üreten büyük ve orta ölçekli şirketlerdir.

საქართველოში 2022 წელს ხორცისა და ხორცპროდუქტების რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვამ 395 მლნ ლარი შეადგინა, რომლის 59% ხორცის, ხოლო 41% კვერცხის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებია.
ამის შესახებ Galt & Taggart-ის მიერ გამოქვეყნებულ მიმოხილვაშია ნათქვამი. კონკრეტულად, გასულ წელს ხორცის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა 232 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კვერცხის გაყიდვებიდან მიღებულმა 162 მილიონი ლარი, ეს რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია გასულ წლებთან შედარებით, მაგალითად, 2014 წელს

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

კვერცხის რეალიზაციიდან მიღებული თანხა 81 მილიონი ლარი იყო, ხოლო ხორცის გაყიდვებიდან 64 მილიონი.

რაც შეეხება ხორცისა და ხორცპროდუქტების მსხვილი საწარმოების შემოსავლებს - საერთო შემოსავლების 13% "ჩირინაზე" მოდის, 8% "კუმისზე", 6% "დილაზე", ასევე 6%-იანი წილი უჭირავს "ნოსტეს", 4-4%-ს კი "ყვარლის ბაგა", "აშენდი" და "სავანეთი" იკავებენ, ხოლო დარჩენილი 48% მცირე საწარმოებზე მოდის.

საქართველოში 250 აქტიური საწარმოა რეგისტრირებული, აქედან მხოლოდ 20 მსხვილი და საშუალო კომპანიაა, რომელთა უმეტესობა ფრინველის ხორცს და კვერცხს აწარმოებს.

Gürcistan'da Terminal Üzerinden Ödeme 95 000 Noktada Mümkündür

საქართველოში ტერმინალით გადახდა 95,000 პუნქტზეა შესაძლებელი

Ukrayna Georgian Airways'e Yaptırım Uyguladı

უკრაინამ Georgian Airways-ს სანქციები დაუწესა

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

Gürcistan'a 5 Ayda 419 Ton Dondurma İthal Edildi

5 თვეში საქართველოში 419 ტონა ნაყინის იმპორტი განხორციელდა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6131 TRY/GEL – 0.1003 EUR/GEL – 2.8342 GBP/GEL – 3.3040

USD/GEL

26 - 03 Temmuz 2023



USD/TR

26 - 03 Temmuz 2023

TRY/GEL

26 - 03 Temmuz 2023

BTC – 26 467. 2

26 – 03 Temmuz2 023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING